ხელშეკრულება №ჟ-3/102

ქ. თბილისი

08 ნოემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლია ძიძიგურის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ, **შპს „ნეოლაბი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თინათინ აბზიანიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად (დაფინანსების წყარო: 2019 წლის საკუთარი შემოსავლები), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებელი ვალდებულია, „შემსყიდველის" მიერ გაგზავნილი სინჯების შესახებ განახორციელოს ლაბორატორიული მომსახურება - ჰერპესვირუსის კვლევა PCR მეთოდით (ერთეული კვლევა - 50,00 ლარი) და CMV (ციტომეგალოვირუსი) კვლევა PCR მეთოდით (ერთეული კვლევა - 50,00 ლარი) (CPV71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები).

1.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. **წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლაბორატორიული მომსახურების ღირებულება ჯამში შეადგენს 100,00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ წარდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი) საფუძველზე, მხარეთა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. დამკვეთს უფლება აქვს, შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2. დამკვეთი ვალდებულია, მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3. შემსრულებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.4. შემსრულებელი ვალდებულია, დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მის სრულ და საბოლოო შესრულებამდე, მაგრამ, არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თუ მეორე მხარის მიერ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას.

5.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეებს უფლება აქვთ შეაჩერონ ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოების (დაუძლეველი ძალის) დადგომის შემთხვევაში, რის შესახებ მხარეები დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა აცნობებენ ერთმანეთს წერილობით. ასეთი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მოქმედი კანონმდებლობიდან და წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის.

6.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედება გრძელდება სამ თვეზე მეტი ხანი, მაშინ მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.7 დამკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს შემსრულებელს საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - მიუწოდებელი (დარჩენილი) შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით,

7.10 დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.

8. კონფიდენციალურობა

8.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთათვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

8.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებლის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების მიუხედავად დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–1[1] პუნქტის შესაბამისად.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამკვეთთან და მეორე შემსრულებელთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის
პედიატრიის აკადემიური კლინიკა
მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N33(21)
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა,
კოდი TRESGE22
ა/ა: 708987301

მიმწოდებელი:

შპს „ნეოლაბი“
მისამართი: ქ. თბილისი;
ტაშკენტის ქ. N47
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205184352
ბანკი: „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE69 TB11 9333 6020 1000 01/GEL

გენერალური დირექტორი:
ლია ძიძიგური

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
თინათინ აბზიანიძე

Tbilisi State Medical University

Digitally signed by Tbilisi State Medical University
Date: 2019.11.11 13:33:35 +04'00'